სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 17 (4538) • 7 დეკემბერი • 2016 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

თბილისის 69-ე საჯარო სკოლა მოწინავეა

შემოქმედებითი სიახლეების ფერხულში


დირექტორი იასონ (სოსო) ყარმაზანაშვილი

მყუდრო, ნაძვნარით დაბურულ ეზოშია განთავსებული თბილისის 69-ე საჯარო სკოლა. შესვლისთანავე დაგეუფლებათ სასწავლო-შემოქმედებითი განწყობილება, რომელიც საკლასო ოთახებში თვალსაჩინოებებით, სტენდებითა და სასწავლო მასალებით მყარდება. ახალგაზრდა, ენერგიით სავსე დირექტორი **იასონ (სოსო) ყარმაზანაშვილი** ყოველ სასწავლო დღეს ახალი ენთუზიაზმით იწყებს, საქმეს გულიანად აკეთებს და სკოლის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. თბილისის დედაუნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა ამ სკოლაში დაიწყო ბუღალტრად, შემდეგ კი კონკურსის წესით არჩეული დირექტორი გახდა. მალე დაატყო საქმეს წინსვლა, გაუმჯობესდა სწავლა-აღზრდის ხარისხი, განმტკიცდა დისციპლინა და ბევრი რამ შეემატა სკოლას.

ბატონი სოსო მუდამ სიამაყით აღნიშნავს, რომ ამ საქმეში გვერდით უდგას ნიჭიერი, გამოცდილი დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ქალბატონი **თეა პაპავა** და მასთან ერთად მთელი პედაგოგიური კოლექტივი. ისინი ერთად ნერგავენ ყოველ რეფორმისეულ სიახლეს, ბევრი საინტერესო წამოწყების ინიციატორები არიან და თავის საქმეში წარმატებებსაც აღწევენ. სკოლას ორი 1000 ლარიანი პედაგოგი ჰყავს — **ბელა ყინწაშვილი** (ინგლისურ ენას ასწავლის I-XII კლასებში) და **ინგა ღვინაძე** (ქართულ ენა-ლიტერატურას ასწავლის VII-XII კლასებში).

დღევანდელობის მოთხოვნებსა და ინიციატივებს კარგად უწყობენ ფეხს სერთიფიცირებული პედაგოგები, რომლებიც მზად არიან აამაღლონ მოსწავლეთა სწავლების ხარისხი, გააძლიერონ მეცადინეობის, ცოდნის შეძენის მოტივაცია. ესენი არიან: **ნინო მანიჟაშვილი** (ბიოლოგია, VII-XII კლ.), **გალინა კასრაძე** (გეოგრაფია, VII-XII კლ.), **ელისო არუნაშვილი** (დაწყებითი, I-IV კლ.), **დალი კანდელაკი** (დაწყებითი, I-IV კლ.), **მარიამ მამუკელაშვილი** (დაწყებითი, I-IV კლ.), **მაია ჟღენტი** (დაწყებითი, I-IV კლ.), **თეა უფლისაშვილი** (ინგლისური ენა, I-XII კლ.), **ირმა შენგელია** (ინგლისური ენა, I-XII კლ.), **მაია ნონიკაშვილი** (ისტორია, VII-XII კლ.), **ნატო ქემაშვილი** (ისტორია, VII-XII კლ.), **მზია გოგოჭური** (მეთემატიკა, I-VI კლ.), **მარინე ჩანგაშვილი** (მეთემატიკა, I-VI კლ.), **ნინო რამიშვილი** (მეთემატიკა, VII-XII კლ.),

მოადგილე თეა პაპავა

ნინო უგრეხელიძე (ქართული ენა და ლიტერატურა, I-VI კლ.), **მარინე კუჭუხიძე** (ქართული ენა და ლიტერატურა, VII-XII კლ.), **მარიამ ქარუმიძე** (ქართული ენა და ლიტერატურა, VII-XII კლ.), **მზია ქევანიშვილი** (ქართული ენა და ლიტერატურა, VII-XII კლ.), **ნინო ჭელიძე** (ქიმია, VII-XII კლ.). სკოლის საქმიანობაში აქტიურად არის ჩართული სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ირმა შენგელია**.

ძალიან საინტერესოდ წარმართავენ თავიანთ საქმიანობას საგნობრივ-მეთოდური კათედრები, ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, კონკურსები, კონფერენციები. ამაყობენ კურსდამთავრებულებით, რომელთა უმეტესობამ წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრე, რომელთა შორის აღსანიშნავია ჭადრაკის წრე — ხელმძღვანელი **მაკა მაჩიტაძე**; კალათბურთის წრე — ხელმძღვანელი **შალვა ცომაია**; ცეკვის ანსამბლი **„არხოტი“** — ხელმძღვანელები: **ნატო გომართელი** და **სერგო გიორგობიანი**.

ბევრი ჰყავს სკოლას „ათოსნები“, შემოქმედებით ოლიმპიადებში, კონკურსებში, კონფერენციებში გამარჯვებულნი, სკოლის საამაყო მოსწავლეები.

სკოლის შენობაში მეგზურობას ძალიან გულისხმიერი ადამიანი, საქმისმწარმოებელი **სოფო სილაგაძე** მიწევდა, გარეთ გამოსულს კი მოსწავლეთა მშობლები შემხვდნენ. მასწავლებელთა შრომა მიღწეული შედეგებით ფასდება, აქ კი მართლაც საამაყოდ აქვთ საქმე, რადგან ყველა მშობელი ერთსულოვნად მიანიშნებდა მათ პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაზე.

დამდეგ შობა-ახალ წელს წინასწარ გილოცავთ 69-ე სკოლელებო, ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ.

ნათია გურგენიძე

I კლასის პედაგოგი დალი კანდელაკი გაკვეთილზე.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ – 140

ამოკრეფილი მარგალიტები

მამა და შვილები

ერთ ადგილს ჩვეულება ჰქონდათ: კაცი რომ დაბერდებოდა, გოდორში ჩასვამდნენ და კლდეზე გადააგდებდნენ. ერთი ბრმა ბერიკაცის შვილებმა მოინდომეს მამისთვის გოდრის დაწვნა. ბერიკაცს ესმოდა მათი ლაპარაკი და ჰკითხა: რას აკეთებთო? უთხრეს: არაფერსო, გოდორსა ვწნავთო. ვიცი, ვისთვისაც გინდათ, მაგრამ ისეთიც კი დასწანით, რომ თქვენ შვილებსაც გამოადგესო. **შვილები გონზედ მოვიდნენ და მაშინვე ხელი ანებეს ამ საქმეს.**



ორი მეგობარი და დათვი

ორი მეგობარი მიდიოდა გზასა. წინ დახვდათ დათვი. ერთი მაშინვე ხისკენ გაექანა, საჩქაროდ ავიდა ზედა და იქ დაიმალა. მეორე რომ მარტოკა დარჩა, მიწაზედ დაეცა და თავი მოიმკვდარუნა. მოვიდა დათვი და ყური დაადო. კაცმა სული შეიგუბა, იცოდა, რომ დათვი მკვდარს არას ერჩის. მართლა დათვმა არა დაუშავა რა და თავის გზაზედ წავიდა. მაშინ ხიდგან მისი ამხანაგი ჩამოვიდა და ჰკითხა: დათვი ყურში რას გეჩურჩულებოდაო? – ის მე მირჩევდა, **კვლავ ნუღარ წახვალ იმისთანა მეგობართან, რომელმაც გაჭირვების დროს ღალატი იცისო.**

ქორი და იხვი

ერთმა ქორმა ერთი იხვი დაიჭირა, ჭამას უპირებდა. ამ დროს ზევიდგან მონადირისაგან შეშინებულმა კაკაბმა ჩამოუარა. ქორი წაეტანა – ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა, ქორს კლანჭებიდან გაუსხლტა და უშველა თავს, ვერც კაკაბი დაიჭირა ქორმა და იხვიც დაჰკარგა.

ანდაზა: **„ორი კურდღლის მადევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერს“.**

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

თბილისის 118-ე საჯარო სკოლაში

მიზანი, რომელიც ოცნებაზე მეცალა

ავჭალაში ლიბანის ქუჩაზე, გამვლელი უთუოდ შენიშნავს ესთეტიკურად მიმზიდველ შენობას, დიდი ეზოთი და შესანიშნავი გამწვანებით. ეს სახელოვანი 118-ე საჯარო სკოლაა, რომელიც თავისი არსებობის 100 წლოვან ისტორიას ითვლის.

სკოლა ცნობილია არა მარტო მისი სიძველით, არამედ საუკეთესო ტრადიციებითა და ძლიერი შემოქმედებითი კოლექტივით.

სკოლის დირექტორი გახლავთ უაღრესად განათლებული, ერუდირებული და გულისხმიერი ადამიანი **გიული შენგელია**. იგი 1990 წლიდან მუშაობს 118-ე საჯარო სკოლაში. ორჯერ იყო სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე. არის სერთიფიცირებული პედაგოგი. პირველ დღიდანვე დაიწყო ქალბატონმა გიულიმ მუხლჩაუხრელი შრომა შენობისა და ინფრასტრუქტურის კეთილმოსაწყობად.

ორი წლის განმავლობაში მთლიანად გარემონტდა და გალამაზდა სკოლის ინტერიერი. სველ წერტილებში დამონტაჟდა ელექტროსაშრობები და მექანიკური სასაპნეები, მოხდა გათბობის სისტემის სრული რეაბილიტაცია, გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა მთელ პერიმეტრზე, მოწესრიგდა სკოლის ეზო.

დირექტორს მხარში უღალატოდ უდგანან და დაუღალავად იღვწიან ისეთი გამობრძმედილი და შემოქმედი პედაგოგები, როგორებიც არიან: დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში – **გიული ძირტკბილაშვილი**, სერთიფიცირებული მათემატიკოსი და სკოლისთვის დამაშვრალი ადამიანი. დაწყებითი კლასების კურატორია **ელისო ღამბაშიძე**, როგორც იტყვიან, ის თავის სფეროში ამინდს ქმნის. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე – **თამილა გზირიშვილი**, ენერგიული, ერუდირებული, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე და პედაგოგია. მოადგილე სამეურნეო დარგში – **გივი ყავრელიშვილი,** თავის საქმეს ფრიადზე უძღვება.

მოსწავლეთა თვითმმართველობას **გიორგი ტურაშვილის** ხელმძღვანელობით ხალისი და სიცოცხლე შეაქვს სკოლის ცხოვრებაში. მათი მთავარი მიზანია მოსწავლეთა მიზნობრივად ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში.

– ვამაყობ ძლიერი პედაგოგებით: 69 მასწავლებლიდან 26 სერთიფიცირებულია. ისტორიის პედაგოგს **პაპუნა კაციტაძეს** კი მინიჭებული აქვს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, – განაცხადა ჩვენთან საუბარში დირექტორმა.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა, რომელთაც უნარიანად უძღვებიან: ქართულისას – **თამარ ბაშარაული**, მათემატიკისას – **სოფიო პაპკიაური**, საზმეცნიერებისას — **ნათია ქობალია**, საბუნებისმეტყველოს – **თამარ მურველაშვილი**, ესთეტიკა-სპორტისას – **ლეილა ტაბატაძე**, დაწყებითისას – **ინგა სვანიშვილი**, უცხოური ენებისას – **მაკა გვრიტიშვილი**. კომპიუტერულ ლაბორატორიას ეფექტიანად უძღვება ინფორმაციული მენეჯერი **თამილა კირთაძე**.

სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს გამოცდილი გამგე **ლალი ამირეჯიბი**. ბიბლიოთეკაში ხშირად ტარდება შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები. ქალბატონი ლალი მკითხველის აქტიურობით ძალიან კმაყოფილია. მისი დიდი სურვილია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრება.

ერთგულებით და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევიან სკოლის საქმეთამმართველი **ეკა მახაშვილი** და გამოცდილი ბუღალტერი **გულნარა ოსეფაშვილი**.

სკოლას მოწინავეთა შორის წარმოაჩენს საქმისადმი მათი აღმზრდელების მიერ მიღწეული წარმატებები. 2014-2016 წლებში სკოლას ჰყავდა 6 მედალოსანი, 4 ოქროსი, 2-ვერცხლის, 100%-იანი გრანტით სტუდენტი გახდა 12 მოსწავლე, 70% ორმა აიღო, 50% კი – შვიდმა.

ოლიმპიადებზე მონაწილეობას ღებულობს მოსწავლეთა დიდი რაოდენობა. განსაკუთრებული წარმატებები აქვთ დაწყებით საფეხურზე. ჰყავთ გამარჯვებულები, ე. წ. **„კინგსის“**, **„ევერესტის“** და სხვა ოლიმპიადებზე.

სანიმუშო და მისაბაძია ფასილიტატორების: **თამარ თაბუკაშვილის**, **თამარ მხეიძის**, **ლალი პავლიაშვილის**, **მაია მოდრეკილაძის** და **მაკა გუნცაძის** თავდაუზოგავი შრომა ჯი – პრაიდის პროექტში მონაწილე ყველა მასწავლებელთან.

– მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სწავლობს 1132 მოსწავლე, მისაღებ აღსაზრდელთა რაოდენობა ყოველწლიურად საგრძნობლად მატულობს, მაგრამ სამწუხაროდ, ფართის უკმარისობის გამო, იძულებული ვართ, უარი ვუთხრათ, – განაცხადა ჩვენთან გამომშვიდობებისას დირექტორმა.

ეს გარემოება კი იმაზე მეტყველებს, რომ 118-ე სკოლა სულ უფრო და უფრო მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი ხდება.

ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს.

დამდეგ, შობა-ახალ წელს გილოცავთ და ბედნიერებას გისურვებთ, 118-ე სკოლელებო!

ივერი მესხია

თბილისის 119-ე საჯარო სკოლა

მაღალხარისხიან შედეგებზე არიან ორიენტირებულნი

შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქის გარეუბანში მდებარეობს ეს სკოლა – ავჭალის, ცენტროლიტის მხარეში. ამას კი თამამად ვიტყვით: გარეუბნის სკოლებს შორის 119-ე საჯარო სკოლა ერთ-ერთი გამორჩეულია. რით? რით და, ძლიერი პედაგოგებით, ერუდირებული დირექტორით, წარჩინებული მოსწავლეებით, სასწავლო -აღმზრდელობითი პროცესის ოპტიმიზაციით. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა დირექტორი **პაატა რაზმაძე**, აგერ უკვე რამდენიმე წელია, საქმეს ეფექტურად უძღვება. იგი დედაუნივერსიტეტის აღზრდილია, ისტორიის ჩინებული მასწავლებელი, სამართალმცოდნეობის სპეციალისტია.

მთელი პედაგოგიური კოლექტივი დარაზმულია ენთუზიაზმით. დირექტორს მხარს უმშვენებს გამოცდილი მოადგილე **მაკა ბრეგვაძე**.

სჯობს მკითხველს გავაცნოთ დირექტორთან საუბრის მოკლე შინაარსი.

* * *

ეს სახელოვანი სკოლა 80 წლისაა. ფრაგმენტულად ჩამოვთვლით სკოლის ზოგიერთ მნიშვნელოვან მიღწევებს: 2013 წელს სკოლამ მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა კონკურსში „**ვუმღერ სამშობლოს“,** მიღებული 1000 ლარით სკოლამ საკუთარი ჰიმნი შექმნა, სადაც მონაწილეობდნენ კონკურსში გამარჯვებული ბავშვები. 2013 წელს დირექტორის მოადგილემ **მაკა ბრეგვაძემ** ჩაატარა სასკოლო ღონისძიება „**ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“,** სადაც მოწვეულნი იყვნენ 9 აპრილს დაღუპული ახალგაზრდების მშობლები, დეპუტატი და მუნიციპალიტეტის წევრები. 2015 წელს ისევ **მაკა ბრეგვაძემ** ჩაატარა მე-8ᵃ კლასში ღონისძიება **„დავით აღმაშენებელი და საქართველო“.** ესწრებოდნენ გლდანი-ნაძალადევის გამგებელი, დღევანდელი დეპუტატი **კობა კობალაძე** და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. ასევე, დაუვიწყარი **მაკა ბრეგვაძის** ხელმძღვანელობით, სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ თეატრალურ ფესტივალში, სადაც **„გრანპრით“** დაჯილდოვდნენ. მოსწავლეებმა წარმოადგინეს სპექტაკლი **„გამარჯობა, აფხაზეთო ჩემო“**. ასე ამაღლებენ პედაგოგები ახალგაზრდებში პატრიოტულ სულისკვეთებას.

გულნაზ ლაზვიაშვილი მე-4 კლასელებთან

სკოლაში აქტიურად მუშაობს კათედრები. 2015-16 წ. „განათლებისა და განვითარების ცენტრ“ **ცოდნის სამყაროს** მიერ გამოცხადებულ კონკურსში, თბილისის მასშტაბით მე-9 და მე-10 კლასებს შორის, „**წლის საუკეთესო გეოგრაფიათმცოდნე**“ გახდა მე-10 კლასის მოსწავლე **სალომე შავაძე**, მეორე ადგილზე გავიდა მე-10 კლასელი **მარიამ ლომსაძე**. მათ პედაგოგს **ია სამხარაძეს** კი გადაეცა სერთიფიკატი.

დაწყებითი კლასის პედაგოგმა **გულნაზ ლაზვიაშვილმა,** აქტიური მონაწილეობა მიიღო „ზღაპრის ფესტივალში“, სადაც მორიგ წარმატებას მიაღწია. გამარჯვებული ბავშვები მიიწვიეს სიღნაღში. მოეწყო ბრწყინვალე ექსკურსია. გულნაზ მასწავლებელი ბევრს მუშაობს ცეროდენებთან, აყვარებს მათ იაკობის დედაენას.

თეა ქვათაძე I კლასელებთან

საბუნებისმეტყველო კათედრამ და ყველა კლასმა მონაწილეობა მიიღო დედამიწის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში.

სამეურვეო საბჭოს თავჯდომარეა ენერგიული პედაგოგი **ლია ძულიაშვილი**. საინტერესოდ მუშაობს სკოლის თვითმმართველობა, რომლის თავჯდომარეა მე-10 კლასის ნიჭიერი მოსწავლე **ნუკრი კილაძე**. თვითმმართველობა სამომავლოდ გეგმავს მრავალ მომხიბლავ ღონისძიებას.

ზემოთ ითქვა, აქ ძლიერი შემოქმედებითი პედაგოგები მოღვაწეობენო. ნამდვილად ასეა. სკოლას ჰყავს ცხრა სერთიფიცირებული პედაგოგი: **ია სახარაძე, მაკა ბრეგვაძე, ნანა ბრეგვაძე, ნინო კაპანაძე, მაია პაიჭაშვილი, რუსუდან რურუა, მეგი მდინარაძე.** 1000 ლარიანი ხელფასი არცერთ პედაგოგს არ აქვს, არც სამეცნიერო ხარისხი, მაგრამ ესეც მალე მოსალოდნელია.

სკოლამ 2015-2016 სასწავლო წელს გამოუშვა 2 ოქროს და 2 ვერცხლის მედალოსანი. ოქროს მფლობელები არიან: **გიორგი საბაშვილი და გურამ ჩილინდრიშვილი.**; ვერცხლისა **გიორგი ბუტიკაშვილი** და **მარიამ ფანოზიშვილი. გიორგი საბაშვილმა** აიღო 100% გრანტი, ხუთმა მოსწავლემ -70%, რვამ კი, 50%, ერთი სიტყვით, დანარჩენი ყველა ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში.

რაც შეეხება სიახლეებს ინფრასტრუქტურაში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა გათბობის სისტემას, სკოლის ეზოში დაირგა 100 ხე გლდანის გამგეობასთან ერთად. წინ ბევრია საღვაწი. ბევრი სიახლე და გამარჯვება ელოდებათ 119-ე სკოლელებს.

ივერი კინდღელი

გამარჯობათ, 85-ე ბაგა-ბაღელებო!

აქ მყდამ მზე და სიხარულია

ხუთი წლის წინათ ვიყავით ამ ზღაპრულ სამყაროში. მას შემდეგ ხუთჯერ უფრო დამშვენებულა იგი დედოფალივით. შეხვალთ და მყის აკაკის სტრიქონები გაგახსენდებათ: **„ეს თვალები რას ნახავენ სხვა**

უკეთეს სანახავსა!“ მზესუმზირა მზესავით ჩახჩახებს. ოქროსფერი სიხარული ჩამდგარა სათამაშოებით გაჯერებულ სიმწვანეში. კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურაზე საუბრით არ გადაგღლით. ერთი სიტყვით, საუკეთესო პირობებში ცხოვრობენ ცეროდენები. გახარებულნი და მადლიერები არიან მათი მშობლები, აღმზრდელები, დედაქალაქის მერიის დახმარებითა და მზრუნველობით, განსაკუთრებით რაიონის გამგეობისა და ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსის **თემურ თორდინავას** ყურადღებით.

მერიამ დიდძალი თანხა გადმორიცხა. ამით ევროპული სტანდარტების დონეზე მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, გაიხსნა ახალი მეცხრე ჯგუფი. მოსახლეობას ახალი მოთხოვნები აქვს: ზოგიერთი პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია მიშენებითი სამუშაოების ჩატარება. ყველას იმედი აქვს ამ მოთხოვნასაც დააკმაყოფილებენ.

ბაგა-ბაღს ახალი დიდი დიასახლისი, ანუ დირექტორი ჰყავს. **მაგული ლოლაძე** ამ ბაღისთვისაა ახალი, თორემ, უკვე გამოცდილი, ბრძმედილი, დიდად ნაღვაწი, დამსახურებული პედაგოგია, იმ სახელოვანი პლეადის წარმომადგენელია, რომელთა ამაგი ყველასთვის ცნობილია. ესენი გახლავთ: **ნელი კეპულაძე**, **ზაირა კურტანიძე**, **მაყვალა ჩუბინიძე**, **მერი ჭარელიშვილი**, **ლალი ნოზაძე**, **ნანი ჯანელიძე**, **იზა კვანტიძე**, **სოფიო ოქრომელიძე**, **თამარ სირბილაძე**, **მარინე გოგოლაძე**, **თამარ გობეჩია**, **მზია მეტრეველი** და სხვები. ნათქვამია: „გულს გული იცნობს და ღონეს ღონეო“, ახალი დირექტორი თანამშრომლებმა მაშინათვე იცნეს, გულთბილად მიიღეს და შეითვისეს.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი დიდი გატაცებით მიმდინარეობს. ბაგა-ბაღის წარმატებაში ლომის წვლილი შეაქვს გამოცდილ, შრომისმოყვარე დირექტორის მოადგილეს **სოფია ჯაფარიძეს**. წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის პროგრამა“**, რომელსაც ძალზე ეფექტიანად უძღვება ხალასი პროფესიონალი, შემოქმედი, სიახლის მაძიებელი მეთოდისტი **თამარ დუმბაძე**. მისი და პატარებზე დედასავით მზრუნველი აღმზრდელების ღვაწლის შედეგია, რომ შარშან პირველი კლასისკენ გზა დაულოცეს სასკოლოდ კარგად მომზადებულ, ნიჭიერ ოთხმოცცეროდენას. დაწყებითი კლასების პედაგოგები ძალიან კმაყოფილნი არიან მათი მომზადების დონით. მომავალი სასწავლო წლისთვის კიდევ 130-მდე ნიჭიერი ცუგრუმელა მოუსკუპდება პირველ კლასში მერხებს.

ბაგა-ბაღის წარმატება-გაძლიერებაში დიდი წვლილი შეაქვთ გამოცდილ, თავისი საქმის ფრიადზე მცოდნე: მნე **ლია გაბუნიას** და გამოცდილ ექიმს **გულიკო ბაკურაძეს**, რომლის შიშითაც (როგორც ამას მშობლები ამბობენ) ვერც ერთი ინფექცია ახლოს ვერ მიეკარება ცეროდენებს. შრომისმოყვარე საქმის მწარმოებელია **ფოთოლა სვანიძე**.

ბაგა-ბაღის კოლექტივი ამაყობს ისეთი თავდადებით ნაღვაწი, დამსახურებული თანამშრომლებით, როგორიც გახლავთ: ავტორიტეტული, დაუღალავი, ოქროს ხელის პატრონი მუშა **ლევან ხუციშვილი**, ცეროდენებში მეტად პოპულარული მზარეული **მარინე თოდრია**, მაღალპროფესიონალები: ფსიქოლოგი **ნინო ხელაძე**, სპეცმასწავლებელი **თამარ აფხაზავა**, ლოგოპედი **ციალა თოლორდავა**.

მაგიადაზე შთაბეჭდილებათა წიგნი შევნიშნე. ო, რამდენი მადლიერებაა გამოხატული მშობლებისა აღმზრდელების მიმართ. აი, ერთი, დიდებული კალიგრაფიით შესრულებული ჩანაწერიდან ორიოდე ციტატა: „გულისხმიერი, ჩვენს შვილებზე დედასავით მზრუნველი აღმზრდელები მოღვაწეობენ ბაღში... ჩემს შვილიშვილს თავს ევლება და ეალერსება ძვირფასი აღმზრდელი **ტატა მასწავლებელი**... ასევე გაგვიმართლა, რომ საოცრად კეთილი, შემოქმედი, ახალი დირექტორი **მაგული ლოლაძე** მოგვივიდა... **თიკა ტოფაძის** ბებია **ქეთევან კუჭავა**“.

ჩვენთან საუბარში დირექტორმა უმაღლესი შეფასება მისცა: ღვაწლმოსილი პედაგოგების: **ლელა ტყემალაძის**, **ინგა ლაზარევას**, **ტატა ილურიძის**, **ლეილა ბეჟანიშვილს** მუხლჩაუხრელ შრომას.

ყველა – ყველა, მაგრამ განსაკუთრებული დაფასების ღირსნი არიან ეს მუშაკები, რომლებიც აკვალიანებენ, ზრდიან, უშუალოდ თავს ევლებიან ცუგრუმელებს, ესენი კი გახლავან აღმზრდელები და მათი თანაშემწეები: **ირმა სომხიშვილი**, **ნანა მეშველიანი**, **თამარ ბაღაშვილი**, **ინგა მინდიაშვილი**, **ლეილა ინაშვილი**, **ნათელა ბიბილაშვილი**, **ლალი მუქერია**, **მაია ფალავანდიშვილი**, **მარიამ ფიცხელაური**. თანაშემწეები: **ხათუნა ტეფნაძე**, **ცისანა ტეფნაძე**, **ეკა კუკულაძე**, **ირინე ჭოხონელიძე**, **დიანა ტორაძე**, **ნანა რურუა**, **ნატო ნოზაძე**, **ნათია მარკოზაშვილი**, **მედეა გელოვანი**, დანარჩენები ზემოთ ვახსენეთ.

სამუსიკო დარბაზიდან ტკბილმშობლიური მელოდიები მოგვესმა. ახალი წლისთვის ემზადებოდნენ ცეროდენები. მათ სულს უფაქიზებენ, ხელოვნების სიყვარულს უნერგავენ მუსიკისა და ცეკვის ბრწყინვალე პედაგოგები: **სალომე ვაშალომიძე** და **სალომე ელბაქიძე**. აქ ბევრი პერსპექტიული, ნიჭიერი ცეროდენა იზრდება. არ არის გამორიცხული, მათგან ზოგიერთი დიდი ხელოვანი გამოვიდეს. მაგალითად, ცნობილი ვოკალისტი **გოგი დოლიძე** საბავშვო ბაღში გამოირჩეოდა უნიკალური მონაცემებით.

სადილობის დრო ყოფილა. სამზარეულოდან მადისმომგვრელმა, არომატულმა სურნელებამ გამოაღწია. ერთ-ერთ მშობელს ვკითხე: კმაყოფილი ხართ ბავშვთა კვებით? პოეტური ბუნებისა აღმოჩნდა იგი, ცერა თითი ასწია და: „კერძებია იმისთანა, რომ ჩაატანთ თითებს თანაო“. მართლაც, საუცხოოდ იკვებებიან ცუგრუმელები, კალორიული, ნატურალური, ეკოლოგიურად ჯანსაღი საკვებით. აბა, მენიუს დააკვირდით? რა გინდა, სულო და გულო, აქ არ იყოს, ახალთახალი ხორცი, ხაჭო, ორაგული, ქათამი, ყველი, კვერცხი, ხილი...

ბავშვებს ძალიან, ძალიან უყვართ გემოვნებიანი მზარეულის **მარინე თოდრიასა** და მისი დამხმარის **თინა მელაძის** ოქროს ხელებით დამზადებული კერძები.

ზემოთ ბაგა-ბაღის ესთეტიკურ იერ-სახეს შევეხეთ, დიახ, ამ საქმეში სისუფთავესა და ჰიგიენურ წესრიგში დიდი წვლილი მიუძღვით დამლაგებლებს: **ანა ჟღენტს**, **ნუნუ გულბიანს**, **თეონა შარაშიძეს**. მრეცხავებს: **მაია საგანელიძეს**, **ნინო ცერცვაძეს**, მებაღე – **ნატალია დათიაშვილს**, დარაჯებს: **პაატა ბუხრაშვილს** და **რამაზ ჩხაიძეს**.

წინ ბევრი სიხარული გველოდება. მოდის შობა-ახალი წელი დიდი იმედებით. მინდა ყველას მოგმართოთ მუხრან მაჭავარიანის სტრიქონებით: „კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო, კიდევ ერთი რუსთაველი, კიდევ ერთხელ აამღერო, გევალება, ჩემო ბაღო, გაგიმარჯოს საქართველოვ!“

წინასწარ გილოცავთ შობა-ახალ წელს 85-ე ბაგა-ბაღელებო, ბედნიერებას და ზღვა სიხარულს გისურვებთ!

ბორის ხარებავა

როგორ ცხოვრობთ, 72-ე ბაგა-ბაღელებო?

დედოგრივი მზრუნველობა არ მოგაკლდებათ

თბილისის 72-ე საბავშვო ბაგა-ბაღი ისანი-სამგორის რაიონში, ე. წ. „აფრიკაში“ მდებარეობს. იგი ერთ-ერთი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა, რომელიც ამ უბნის მოსახლეობას ემსახურება. ამიტომაც ჯგუფები ძალიან გადატვირთულია, თუმცა, როგორც გვითხრეს რაიონის საკრებულოს დეპუტატის **ლია ჯახელაძის** ინიციატივით ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობაა დაგეგმილი, რაც განტვირთავს სიტუაციას და ჯგუფებში ბავშვთა კონ-

ტინგენტს შეამცირებს.

ეს ბაგა-ბაღი 45 წელია ფუნქციონირებს და მის კედლებში უამრავი პატარა დაფრთიანდა. ბაღი ყოველთვის გამოირჩეოდა წესრიგით და მაღალკვალიფიციური კადრებით, რაც დღესაც გრძელდება. აქ შესვლისთანავე იგრძნობა მზრუნველი დიასახლისის ხელი, არის სისუფთავე და წესრიგი. ეზო მოპირკეთებულია, დამონტაჟებულია სხვადასხვა ატრაქციონები. ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. ოთახები და დერეფნები გაფორმებულია თვალსაჩინოებებით, ყვავილებითა და აპლიკაციებით.

ახალი დირექტორის მოსვლის დღიდან, ბაღის იერ-სახე საგრძნობლად შეიცვალა და უფრო მომხიბლავი გახდა. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **თემურ თორდინავას** დახმარებით, მოწესრიგდა სამზარეულო, ბაღისთვის შეიძინეს მაღალი ხარისხის ჭურჭელი, სათამაშოები, სახელმძღვანელოები და ა.შ. ამჟამად, მიმდინარეობს პანდუსების დამონტაჟება.

ბაღს სათავეში უდგას გამოცდილი და პროფესიონალი პედაგოგი **თინათინ ხუციშვილი**. იგი, თითქმის ერთი წელიწადია, რაც დირექტორად დაინიშნა და საგრძნობლად გააუმჯობესა აქაური მდგომარეობა. მართალია, მას საკუთარ თავზე ბევრი არ უსაუბრია, მაგრამ მისი გაკეთებული საქმეები თვალსაჩინოა, უთუოდ შექების ღირსია. იგი, წლების მანძილზე, პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ფსიქოლოგად მუშაობდა.

ქალბატონი თინათინისათვის, სკოლამდელი აღზრდის სისტემა კარგად არის ცნობილი, რადგან იგი ამავე ბაღში დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. მისთვის ბავშვებთან ურთიერთობა დიდი ბედნიერებაა და საკუთარი შვილივით უყვარს თითოეული მათგანი.

დირექტორი და ბაღის მთელი კოლექტივი მუხლჩაუხრელად ზრუნავს ბაღის კეთილდღეობასა და პატარებისათვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად. მართალია, ბაღი გადატვირთულია (480 აღსაზრდელია, 280 —ის ნაცვლად), მაგრამ ყველაფერი

კეთდება იმისთვის, რომ აღმზრდელობითი პროცესი ხარისხიანად წარიმართოს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დირექტორის მოადგილის **მარიამ მალაციძის**, მეთოდისტ – **ნანა ჭიკაძის** და სამეურნეო ნაწილის გამგის **მაია ცირეკიძის** თავდაუზოგავი შრომა. ასევე, მადლობას იმსახურებს ფსიქოლოგ **ნანა ცალანის**, ლოგოპედ **თეა რუსიშვილის**, საქმისმწარმოებელი **ციალა ცერცვაძის** და მედდა **ინგა კოსიანის** მონდომებული მუშაობა.

ბაღში ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები და ზეიმი. ამჟამად კი, პატარები საახალწლოდ ემზადებიან. პატარების ხელოვნების სიყვარულით აღზრდაზე ზრუნავს ცეკვის მასწავლებელი **ნინო კახაბრიშვილი.**

საამაყოა, რომ 72-ე ბაღში, თანამშრომლები ერთ გუნდად არიან შეკრულნი და დედასავით ზრუნავენ მომავალი თაობის აღზრდაზე.

კვებას რაც შეეხება, როგორც სხვა ბაგა-ბაღებში, აქაც შესანიშნავია. დაცულია კალორიულობა, ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. პატარებს გემრიელ კერძებს უმზადებენ მზარეული და მისი დამხმარე: **თამარ მარანელი** და **ფიქრია ლომიძე**.

ამ საბავშვო დაწესებულებაში, დიდი მზრუნველობით ეპყრობიან განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატარებს, რომელთანაც მუშაობს სპეც-პედაგოგი **მართა ტეფნაძე**. იგი ბაღისთვის ახალი კადრია.

ბავშვებს თავს ევლებიან და სულს უფაქიზებენ ჩინებული აღმზრდელები**: ეკა ქარუმიძე-მულაძე, მარიამ ტაბატაძე, შორენა ტურიძე**.

მათ მხარში უღალატოდ უდგანან თანაშემწეები: **ეკა ასანიძე, ციური ბალავაძე, თამარ მამალაძე, დარეჯან ჩუბინიძე, მარინე სოლოღაშვილი, ნატო გულიაშვილი, ნინო მიშველაძე, მარო ჯაშიაშვილი, ბელა გეგელაშვილი** და **თამარ ჯიმშელაძე.**

72-ე ბაგა-ბაღი პოპულარული და მიმზიდველი რომ არის, ბაღის თითოეული თანამშრომელის დამსახურებაა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექპერსონალს: **თამარ გელაშვილი, თამარ მირზალაშვილი, ნათია კილასონია, ლეილა არჩუაძე, ნინო ქაშიბაძე, ლია თევზაძე, ლიანა ჩაგუნავა** და **რაფაელ გორანციანი**, პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას.

ერთი სიტყვით, ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი, ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ ეს საბავშვო დაწესებულება იყოს გამორჩეული და სანიმუშო. აქაური მესვეურები კი პატარებს ზღაპრულ გარემოს უქმნიან და მათ ცხოვრებას ულამაზებენ.

შავდათუაშვილი, ლორინა ყვავაძე, ჯულიეტა თაბაგარი, მაია ხურციძე, ნინო ცხადაძე, ნინო ქუთათელაძე, დილბარ ლომიძე, ლია შენგელია, თამარ თხინვალელი და **თეონა ჭანტარიძე**.

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, 72-ე ბაგა-ბაღელებო!

მზია გოგოძე

საქმე და სიტყვა, რომელიც გვეჩოთირება

როგორ ვერ მომაჯყუა დირექტორმა

შაშკინის შეუქცევადი შიში დღესაც ბუდობს ზოგიერთი სკოლის დირექტორის თავში. შიში ბევრი რამის გამო იყო. ერთ-ერთი მათგანია ჟურნალისტებთან, თუნდაც მასწავლებელთა გაზეთის თანამშრომლებთან ურთიერთობის გამო, დირექტორებს ჟურნალისტებისგან თავის არიდების მეთოდიკა ისე აქვთ დახვეწილი, თითქოს ამ მიზნით, ტრენინგები გაიარესო.

სამინისტროსგან სკოლებისთვის დარიგებული ინსტრუქციის ერთ-ერთი მუხლის დაზუსტების მიზნით დირექტორს „დავუკავშირდი“, მაგრამ დავუკავშირდი კი? საქმის მწარმოებელმა გამომძიებელივით გამომკითხა: „ვინა ხარ, სიდან მოსულხარ, ან კი მიდიხარ სადაო?“ – ჟურნალისტი ვარ, განათლების სისტემის მუშაკი, – გავიგებ, არის თუ არა დირექტორი. პაუზა და პასუხი: სამინისტროშია წასული.

კიდევ ხუთ სკოლას დავუკავშირდი. პასუხები: „რესურსცენტრშია“, „შეხვედრაზეა“, „ტრენინგზეა“, ე. ი. სკოლაში არასოდეს არ არის. ეჭვი შემეპარა და დავრწმუნდი, მატყუებდნენ. მეექვსე სკოლიდანაც იგივე პასუხი. – გთხოვთ მობილურის ნომერი ჩამაწერინოთ. – აკრძალული გვაქვს.

გამახსენდა, რომ ამ სკოლაში მეგობარი მუშაობდა. – თუ ძმა ხარ, ერთი გამიგე, თქვენი დირექტორი სად არის? – აგერაა, თავის კაბინეტში ზის. ისევ ვურეკავ საქმეთა მწარმოებელს: არა გრცხვენიათ? ცხვირწინ გიზის დირექტორი და მე თქვენს კოლეგას ასე უტიფრად რომ მატყუებთ? მკითხველო, აი, ბიუროკრატიზმის კლასიკური მაგალითი.

მედასავლეთე ქართველების აფორიზმები

რუსთაველის ხმაზე: „ამერიკული დოლარი მირჩევნია სულსა, გულსა“. „სჯობს დოლარისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“. „ხამს დოლარი ევრო ჩემთვის, ამერიკა – გზად და ხიდად“.

ბარათაშვილის ხმაზე: „ჯანი გავარდეს აწ ენას, მამულს, ოღონდ ვაამო ჩემს საკუთარ გულს!“ „რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას მავნებს ინგლისელობა?“

ერისთავის ხმაზე: „მე მირჩევნია მამულსა ინგლისი დოლარიანი“.

„ო, ენავ, ჩემო!“

„შედეგებზე ორიენტირებული“. უშედეგობაზე, გაკოტრებაზე ორიენტირებული საქმე სადმე გინახავთ? უნდა იყოს: „მაღალ შედეგებზე ორიენტირებული“.

„განვითარების სამინისტრო“, „განვითარების სამმართველო“. სიტყვა **„განვითარების“** ზედმეტია. ყველა დაწესებულება ამა თუ იმ დარგის განვითარებისთვის, წარმატების მიღწევისთვისაა შექმნილი და არა დაკნინებისთვის. უნდა იყოს ტრადიციულად: „განათლების სამინისტრო“, „ეკონომიკის სამინისტრო“ და არა „ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტრო“.

სოფელ კოდის შესასვლელში, ტრიალ მინდორზე დგას ბოძი, რომელსაც აწერია: **„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი“**. ადრე ეწერა **„რაიონი“**, რომელიც ნამდვილად სწორია. **რაიონი** ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გეოგრაფიულ სივრცეს, იმ ტერიტორიას, რომელიც თეთრიწყაროს გამგებლობაში მას ეკუთვნის. **„მუნიციპალიტეტი“** გერმანული სიტყვაა და ნიშნავს თვითმმართველობას, რომელიც უნდა ეწეროს ქალაქის იმ შენობას, რომელშიც ეს ორგანიზაცია არის განთავსებული. ახლა კი, ასე გამოდის, ეს ბოძი ყოფილა თვითმმართველობა. ყველა საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოდი, დავუძახოთ: **„მოსწავლეთა მუნიციპალიტეტი“**, **„სტუდენტთა მუნიციპალიტეტი“**. როგორი იქნება ჰა?

მოსე მწერალი

ნომრის სტუმარია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დედაუნივერსიტეტთან ერთად გამორჩეული და საამაყო

საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთ ცნობილ დასახლებაში **ანა პოლიტკოვსკაიას** ქუჩაზე, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმრავლით გამოირჩევა, ორ დიდ კორპუსში განთავსებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი თავისი ისტორიის რვა ათეულ წელზე მეტს ითვლის (თავდაპირველად სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის, ხოლო 1979 წლიდან აფხაზეთის (სოხუმის) უნივერსიტეტის სახით). მას ეწოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**. დღეისათვის აქ 2871 სტუდენტი სწავლობს.

ამჟამად უნივერსიტეტში სწავლება მიმდინარეობს შემდეგ შვიდ ფაკულტეტზე: **იურიდიულ, ეკონომიკისა და ბიზნესის, განათლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტებზე**.

უნივერსიტეტში ხორციელდება 3 პროფესიული, 27 საბაკალავრო, 23 სამაგისტრო და 11 სადოქტორო პროგრამა. ამ უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამაში შედის ასევე, **ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის, ვებ-ინტერფეისის დეველიპერი და სადაზღვევო აგენტის** სპეციალობები.

უნივერსიტეტში ხორციელდება დამოუკიდებლად არსებული მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მაღალ პროფესიულ დონეზე შემოქმედებითად ხელმძღვანელობს, ერუდირებული რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯონი აფაქიძე**. იგი გამოცდილი რექტორი და მაღალი რანგის მეცნიერია. მან შექმნა საინტერესო ნაშრომი **„გვიან ბრინჯაო და ადრე რკინის ხანა დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიაში (კოლხური კულტურის ქრონოლოგიური კვლევები ძველი წელთაღრიცხვის 600-700 წ.წ.“)**. წიგნი ორ ტომად 2009 წელს გამოიცა გერმანიაში. გამომცემელია ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი, რედაქტორია პროფესორი **ბერნჰარდ ჰენზელი**.

რექტორს თავდადებული მოღვაწეობით მხარს უმშვენებენ, კოორდინატორი სამეცნიერო დარგში, პროფესორი **ზურაბ პაპასკირი**, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ამ წერილის თანაავტორი, სოხუმის უნივერსიტეტის ფილიალის კურსდამთავრებული **ნესტან კეკელია**, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი **ნინო თოფურიძე** და უნივერსიტეტის მთელი პედკოლექტივი.

უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ძალას და ენერგიას არ იშურებენ, რათა კურსდამთავრებულები მომზადებულნი შეხვდნენ დროის მოთხოვნებს და თამამად შეაბიჯონ მომავალში.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი დასაქმებულია სპეციალობების მიხედვით:

განათლების ფაკულტეტის კურსდამთავრებულია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, რიოს ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელი **ვარლამ ლიპარტელიანი**, რომლითაც ფაკულტეტი განსაკუთრებით ამაყობს. საჯარო და კერძო სკოლებში მოღვაწეობენ: **ნათია ჯოჯუა, ნინო გვარაძე, მარიამ გვეხიძე, თინათინ ლაცაბიძე, თამთა ბაბაშვილი, თამთა აბულაძე, ქეთევან ბახუტაშვილი, ნათია გაფრინდაშვილი, ნინო მაზანიშვილი, ელენე ჩუბინიძე, ანი კაპანაძე, თამარ კაკულია, თეონა თოდუა, თეონა პეტრიაშვილი** და სხვები.

საგანმანათლებლო სფეროს სხვადასხვა საფეხურზე წარმატებულია **მარიამ კაპანაძის, სალომე მამარდაშვილის, იზაბელა მინაშვილის, მაია კობახიძის, ოლღა ქიტუაშვილის** და სხვათა საქმიანობა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტების განხორციელებაში ჩართული არიან: **იამზე ნადირაძე, თეონა ყოლბაია, მაია კობახიძე, მაია ჯამბაზიშვილი** და სხვები.

ინკლუზიური განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანია **თამარ ურეკაძის, თეო კვარაცხელიას, თამარ კალატოზისა** და სხვების საქმიანობა. **სკოლამდელ** დაწესებულებებში – **ირინე გუდაძე, ნაზი ბერიძე, მარიამ ხაჟომია** და სხვები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი: **ირაკლი გულედანი**, (ბიოლოგია), **ბეჟან რეხვიაშვილი** (ბიოლოგია), **კახა შამათავა** (ბიოსამედიცინო ინჟინერია), **ირაკლი ნოზაძე** (გეორგაფია).

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულები არიან სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **გვანცა აბდალაძე, ზვიად არძინბაია** – ფლეტჩერის დიპლომატიისა და სამართლის სკოლის მაგისტრანტი, **მაია წურწუმია** – თსუ-ს დოქტორანტი, პროფესორი **ნოდარ ჟვანია** – ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, ამ უნივერსიტეტში მოწვეული პედაგოგი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთაგან: **მიხეილ ცინცაძე, მაგდა ერაძე, თინათინ ფირცხალავა,** რომელიც თბილისის 207-ე საჯარო სკოლაში სპეცმასწავლებლად მუშაობს.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ამაყობს, **ალექსი გუგუშვილით**, რომელიც წარმატებული მეცნიერია, გავლილი აქვს კურსები ფლორენციის, ედინბურგის, ლონდონის, ჰარვარდის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში.

ემირ ეთერია ეფექტიანად საქმიანობს საგარეო საქმეთა სამინისტროში. იგი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. **ირმა გელანტია**, ამავე უნივერსიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულების დოქტორანტია. ეკონომისტი **როდიონ ქარჩილავა** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტია. **ბადრი გიორგაძე**, მუშაობს თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსად, არის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულები: **ბექა ნარუაშვილი**, პროგრამისტი **ირაკლი კაპანაძე, ბექა ტოკლიკაშვილი, პაატა ტერტერაშვილი, ტიგრან ვოსკანიანი, ანი ქაჩაიძე, ირაკლი ქარდავა, დავით მირესაშვილი** პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობენ.

ღირსეულად მოღვაწეობენ **იურიდიული** ფაკულტეტის კურსდამთავრებულები. მოსამართლეები არიან: **ხათუნა ხარჩილავა, ნინო ნაჭყებია, ბესიკ ბუგიანიშვილი, გიორგი არევაძე, რევაზ ნადარაია, ილონა თოდუა, თამარ ლაკერბაია, ჯემალ კოპალიანი, ეკატერინე ქეცბაია, ირინე ზარქუა, მამია ფხაკაძე, თეა ძამისტარაშვილი;** პროკურორები: **გიორგი მიქაია, ლეონიდ გერგედავა, ვახტანგ ჭუმბურიძე, ივანე კაკალია, ლევან ზურაბ ფარჯიანი, თემურ დარსანია, შორენა გაბიჩვაძე, ედიშერ ფუტკარაძე, მინდია ოკუჯავა** და სხვები. ყველა ვისაც რაიმე კუთხით წვლილი აქვს შეტანილი უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ჯეროვნად აქვს გაცნობიერებული თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ზოგადკულტურული ფუნქცია ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთლიანებასა და აფხაზეთში ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების აღდგენის საქმეში.



სალია, ნინო ოქროპირიძე, დავით კაპანაძე.

სხვადასხვა უწყებებში საქმიანობენ: **გოჩა ლორთქიფანიძე** (საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე), **ლევან კაკავა, გიორგი კორსანტია, ბორის ჩოფლიანი, არჩილ კუკულავა, იგორ კოპალიანი, დავით გვაძაბია, აკაკი ხასაია, ლაშა მესხი, ირაკლი ჩაჩიბაია, გოჩა გიორგაძე, ნუგზარ სიჭინავა, გიგა ჩერქეზია, თამარ გურჩიანი, ნატო ჭითანავა** და სხვა წარმატებით მოღვაწენი სოხუმის უნივერსიტეტის აღზრდილები არიან. ასევე, მადლობასა და ქებას იმსახურებენ სოხუმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, პროფესორები: **ვეფხია გვარამია** (იურიდიული ფაკულტეტის დეკანი), **გიორგი ხუბუა, თამარ ზარანდია, ნანა ყურუა, ბადრი კვარაცხელია, ასმათ გუგავა, თემურ ცქიტიშვილი,**

განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა აკადემიური დონის კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მაღალზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბოლონიის პროცესის, საქართველოს კანონმდებლობის და მისი წესდების შესაბამისად წარმართავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას. პრიორიტეტულია ისეთი მნიშვნელოვანი დარგებისა და მიმართულებების განვითარება, როგორიცაა **აფხაზოლოგია, ქართველოლოგია,**

გაგრძელება მე-6 გვ.

სწავლების მეთოდიკა

სიახლე, რომელიც დიდ წინმაცდებას მოგვიტანს

დიდი გარდაქმნის, სიახლეების მოწმენი ვართ: ახალი პარლამენტი, ახალი მთავრობა, განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრი, ახალი სარეფორმო გამოწვევები, რომლის მთავარი ორიენტირია სწავლებისა და ცოდნის ხარისხის მაღალი დონე.

ამ მიზნის მისაღწევად ნიჭსა და უნარს არ იშურებენ მეცნიერები, პედაგოგები, განათლების დარგის მუშაკები. ერთ-ერთი ასეთი სიახლე გახლავთ სკოლებში ახალი საგნის **„ლოგიკური-ანალიტიკური აზროვნების“** შემოღება.

ეს კი ყველაზე უპრიანია მათემატიკის სწავლების პროცესში, რადგანაც ეს საგანი, როგორც „მეცნიერებათა დედოფალი“, ყველაზე უფრო ავითარებს „ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“ უნარ-ჩვევებს მოზარდში.

უკვე შეიქმნა და იქმნება სახელმძღვანელოები, მეთოდიკური რეკომენდაციები. ერთი სიტყვით, ეს საგანი თამამად უნდა შევიდეს საჯარო და კერძო სკოლების სასწავლო სისტემაში.

გვყავს ამ სიახლის „პირველი მერცხლები“, ნოვატორი მეცნიერ-პედაგოგები. ერთ-ერთი მათგანია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი **„საბანკო-იურიდიული ლიცეუმის“** დამფუძნებელი და დირექტორი **დავით ზარნაძე,** რომელიც დიდ ძალისხმევას ახმარს ახალი საგნის სწავლებაში დანერგვას.

ჯერ კიდევ 2013 წელს შეადგინა წიგნი **„ზოგადი უნარების ლოგიკის თვითმასწავლებელი“**, რომელიც უფრო დაიხვეწა და იქცა დამხმარე სახელმძღვანელოდ. მისი სახელწოდებაა **„ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების საფუძვლები“.**

2014 წელს მეცნიერებათა დოქტორების **დ. უგულავას, დ. ზარნაძის, მ. კუბლაშვილის** ძალისხმევით შეიქმნა **„ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“ სტანდარტი X-XI-XII კლასებისათვის** და სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია ზოგადი განათლების სისტემაში, რომელიც განიხილეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და გამოიტანეს დასკვნა, რომ მისი სწავლება შეიძლება სტანდარტსზევით სწავლებით ნებისმიერ სკოლაში. ეს მეცნიერები ამჟამად მუშაობენ შესაბამისი სახელმძღვანელოს შექმნისათვის.

ეს სახელმძღვანელო დაეხმარება პედაგოგებს მუშაობაში, ასევე დიდ სარგებლობას მოუტანს მოსწავლეებს კონკურენტუნარიანი ცოდნის შეძენაში. გთავაზობთ ამ სახელმძღვანელოს მეცნიერულ-მეთოდიკურ განხილვას.

***

ახალი საგანი „ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნება“, მისი მიზნები და დამხმარე სახელმძღვანელო

2016 წლის საატესტატო და ეროვნული გამოცდების შედეგების შეჯამებისას მათემატიკის გამოცდების შესახებ შემაშფოთებელი სტატისტიკა გვამცნეს საქართველოს განათლების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ** და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა **მაია მიმინოშვილმა**. ფაქტია, რომ არსებული მეთოდიკა ვერ უზრუნველყოფს სასურველი შედეგების მიღებას მათემატიკური აზროვნების სწავლებისას და საჭიროა მასში გარკვეული კორექტივების შეტანა. სასკოლო მათემატიკისა და აგრეთვე სხვა საგნების სათანადოდ ათვისება ხელს უწყობს ლოგიკურ-ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების ჩვევების გამომუშავებას, მაგრამ მათემატიკაში შექმნილი აბსტრაქტული სისტემები და თეორიული მოდელები, რომლებიც გამოიყენება კანონზომიერებების შესასწავლად, სიტუაციის გასაანალიზებლად და პრობლემების გადასაჭრელად, მრავალ შემთხვევაში მიუწვდომელია მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილისათვის. უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ნიჭიერ მოსწავლეთა დიდი ნაწილი, რომელთათვისაც მიუწვდომელია ღრმა აბსტრაქტული და სიმბოლური აზროვნება, ხოლო მათემატიკური აზროვნება მათთვის უბრალოდ შეუძლებელია. ეს წინააღმდეგობაშია იმ ფაქტთან, რომ ჩვენ ვასწავლით მათემატიკას აზროვნების კარგად სწავლების მიზნით და ზემოთაღნიშნულის გამო მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს ვაძულებთ აზროვნებას. გამოსავალი ამ სიტუაციიდან არის უფრო მცირეს – პირდაპირ აზროვნების სწავლება მათემატიკაში არსებული აბსტრაქტული სისტემებისა და თეორიული მოდელების სწავლების გარეშე უფრო მარტივი ცხოვრებისეული პრობლემების ანალიზის საფუძველზე. უდავოა, რომ მათემატიკის სწავლება ლოგიკური აზროვნების სწავლებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, მაგრამ შესაძლებელია და ზემოთნათქვამიდან გამომდინარე აუცილებელია მოსწავლეებს პირდაპირ ვასწავლოთ აზროვნება. სწორედ ამიტომ არსებული პრობლემის გადასაწყვეტად გვინდა შეგახსენოთ ახალი საგნის **„ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“** არსებობა.

რატომ დაერქვა საგანს სახელად **„ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნება“** და რას შეისწავლის იგი? რა კავშირებია ლოგიკურ, ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას შორის?

საგნის სწავლების ძირითადი მიზანია სწორი აზროვნების წესებისა და კანონების გაგება-გაცნობიერება, სწორი აზროვნების ჩვევების ჩამოყალიბება და მიღებული ცოდნის მოვლენათა ანალიზის დროს სხვადასხვა სიტუაციაში პრაქტიკული გამოყენების უნარების შეძენა. უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ ეს საგანი არ არის მათემატიკის ალტერნატივა, არამედ ასწავლის აზროვნებას უფრო ცხოვრებისეული საკითხების ანალიზით და მათემატიკური სიზუსტით.

ლოგიკურ, ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებებს შორის ძირითადი ლოგიკური აზროვნებაა, ზოგჯერ მათ აიგივებენ კიდეც ერთმანეთთან **(პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ცენტრი, თბილისი, 2008 წ.)**. ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება ლოგიკური აზროვნების გამოყენების გარკვეული სახეობებია. კერძოდ, ანალიზი არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომლის დროსაც ხდება მთლიანი საგნის (მთლიანი პრობლემის) ცალკე ნაწილებად წარმოდგენა ადამიანის ცნობიერებაში, ამ ნაწილების კრიტიკული აზროვნებით კვლევა (არგუმენტების მოძიება, არსებული წანამძღვრების საფუძველზე დასკვნის გამოტანის ჩვევების გამომუშავება), მათ შორის არსებული ლოგიკური კავშირის დანახვა, ამით თითოეული ნაწილის ინფორმაციულობის გაზრდა და საბოლოოდ პრობლემის გადასაჭრელად მის ერთიან ლოგიკურ ჯაჭვად წარმოდგენა. „ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“ სწავლა არის გარკვეული საფეხური მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბებისათვის. ბ.ბლუმის მიხედვით **(როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ცენტრი, თბილისი, 2007 წ.)** ანალიზი არის სააზროვნო უნარების მაღალი დონის უნარ-ჩვევა **(დ. პერკინსი. თეორია ერთი, 1992 წ.)**: (IV დონე ბ.ბლუმის ტაქსონომიაში) ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება) და მასში იგულისხმება:

- ➢ მოვლენის (სტრუქტურის) შემადგენელ ნაწილებად დაყოფა: ნაწილების შედარება-შეპირისპირება, ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ან სტრუქტურის დანახვა;
- ➢ მოვლენის მიზეზის (დაფარული აზრის აღმოჩენა) ლოგიკური ახსნა;
- ➢ პროცესის ლოგიკური კანონზომიერების გამოვლენა;
- ➢ მიზეზებსა და შედეგებს შორის ლოგიკური კავშირების დადგენა.

თანამედროვე პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების პირობებში მოსწავლეებისათვის „ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“ უნარ-ჩვევების გამომუშავებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისინი ხელს უწყობენ მათი გონებრივი შესაძლებლობების განვითარებას, იძლევიან აზრების ზუსტად და ლაკონურად გამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებას. ასევე რთული და პრობლემატური მოვლენების ნაწილებად დაშლით მათი შემადგენელი ელემენტების თვალსაჩინოდ წარმოჩენის, მოვლენების ლოგიკურად ახსნისა და საბოლოო შედეგების ლოგიკურად განჭვრეტის შესაძლებლობას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის 2014 წლის სამეცნიერო გრანტის დაფინანსებით (ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ ძირითადი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორები, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები) და პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის დალოცვით მეცნიერებათა დოქტორების **დ. უგულავას, დ. ზარნაძის, მ. კუბლაშვილის** მონაწილეობით და ძალისხმევით შეიქმნა „ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების” სტანდარტი არჩევით საგნად X.XI.XII კლასებში, სწავლა/სწავლების მეთოდოლოგია ზოგადი განათლების სისტემაში და საგნის სწავლების სილაბუსი. 2015 წლის 3 ივლისს სტანდარტი წარდგენილ იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. 2015 წლის 12 აგვისტოს სამინისტროს მათემატიკის პროგრამების განყოფილებაში შედგა წარდგენილი დოკუმენტების განხილვა. (დოკუმენტები და მისი განხილვის ანგარიში იხილე საიტზე http://www.ambioni.ge/axali-arceviti-sagnis-logikur-analitikuri-azrovnebis-swavlebis-sesaxeb).

„ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“ სწავლისას, ერთის მხრივ, მოსწავლეებს ცხოვრებისეული სავარჯიშოების საშუალებით უმუშავდებათ სწორი აზროვნების ჩვევები და, მეორეს მხრივ, ეჩვევიან სხვადასხვა ლოგიკურად გამართული მსჯელობების ჩამოყალიბებას და დასკვნების გამოტანას, რითაც უფრო გონებამახვილ და მოაზროვნე პიროვნებებად ყალიბდებიან. არსებითია აღინიშნოს, რომ არსებული წანამძღვრების საფუძველზე დასკვნის გამოტანის ჩვევების გამომუშავება მოხდება მრავალრიცხოვანი სათანადოდ შერჩეული სავარჯიშოებით, სისტემატური ვარჯიშით. სწორედ ეს არის არსებითი განსხვავება ამჟამად არსებული ლოგიკის სწავლების მშრალი მეთოდიკისაგან, რომელიც ითვალისწინებს ლოგიკის წესებისა და კანონების სწავლებას მხოლოდ მარტივი საილუსტრაციო სავარჯიშოებით. ისინი მოსწავლე ახალგაზრდებში ვერ აღძრავენ ინტერესს და ვერ ქმნიან სწავლის მოტივაციას. ახალგაზრდებს სჭირდებათ სისტემატური ვარჯიში მარტივი და მიზანმიმართული მრავალრიცხოვანი სავარჯიშოებით, ლოგიკური თამაშებით, რომლებიც მათ აძლევს სწორი აზროვნების ცოდნას, ამავე დროს ახდენენ მიღებული ცოდნის გააზრებას და გამოყენებას (გააზრებულ პრაქტიკას). არსებითად შეიგრძნობენ როგორ უვითარდებათ აზროვნება (რეფლექსური აზროვნება), ეჩვევიან მრავალსაფეხურიანი მსჯელობების ჩატარებას (ანალიტიკურ აზროვნებას), დედუქციური და ინდუქციური მეთოდების სხვადასხვა სახეებით დასკვნების გამოტანას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღქმას, რაციონალურ წინასწარ ხედვას. გარდა ამისა, ძირითადი აქცენტის გადატანა პრაქტიკული ხასიათის საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრაზე, გააზრებული და ამოხსნის სირთულის მიხედ-

გაგრძელება მე-7 გვ.

მე-5 გვერდიდან

არქეოლოგია, **ზუსტი** და **საბუნებისმეტყველო**, **ჰუმანიტარული** და **სოციალ-პოლიტიკური** მეცნიერებები, **იურისპრუდენცია**, **ეკონომიკა**, **ბიზნესის ადმინისტრირება** და **განათლების** მეცნიერებები. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, ევროკავშირის მნიშვნელოვან პროექტებში აქტიური ჩართვა, ბოლონიის პროცესის სწორი გაგება, მისი განხორციელება და რეფორმების თანმიმდევრული გატარება, რაც, თავის მხრივ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთაშორისო აღიარებას მოუტანს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – „წმინდა გიორგის“ ოქროს ორდენი, ა. წ. 17 მაისს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელს **ჯონი აფაქიძეს** პირადად გადასცა. დაჯილდოების შემდეგ საპატრიარქოში საზეიმო საღამო გაიმართა, რომელსაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე **სვეტლანა ქეცბა** უძღვებოდა. საღამოზე უნივერსიტეტის მომღერალ გოგონათა გუნდი და ცნობილი ქართველი საოპერო მომღერლები წარდგნენ.

საქართველოში სასულიერო და საერო სასწავლებლებს შორის საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო ჯერ არც ერთს არ მიუღია. „წმინდა გიორგის“ ორდენის ტარების უფლება, მხოლოდ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ექნება. საპატრიარქოს ფონდიდან ილია მეორემ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს 10 000 ამერიკული დოლარი აჩუქა.

აი, რა დიდი წარმატებით და ენთუზიაზმით მოღვაწეობს დღეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი ყველა თანამშრომელი.

გაზეთი **„სახალხო განათლება+“-ის რედაქცია გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ახალ-ახალ წარმატებას და ბედნიერებას გისურვებთ სოხუმის უნივერსიტეტელებო!**

რომან მოსეშვილი

მე-6 გვერდიდან

ვით დალაგებული სავარჯიშოებით სისტემატური ვარჯიში აზროვნების ჩვევების გამოსამუშავებლად და გამოსაყენებლად, აძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას, ხელს უწყობს აზროვნების ამოქმედებას და ტრანსფერის/გადატანის უნარის გამომუშავებას.

„ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“ საგნის სწავლებით, სწორედ აღნიშნული მაღალი დონის აზროვნებისათვის მომზადება ხდება მათემატიკის სწავლების გარეშე და ის ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეთა უმრავლესობისათვის, გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას ღრმა აზროვნების შესწავლისათვის და აღძრავს მათემატიკისადმი მათ ინტერესსაც. ისიც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს არის ეროვნული გამოცდების ლოგიკის პროგრამა აბიტურიენტების, სტუდენტთა საგრანტო კონკურსის გამოცდებისა და მაგისტრატურაში შემსვლელთათვის. თუმცა, ამ გამოცდების ტესტების სტრუქტურისა და საგამოცდო ცენტრის ზოგიერთი მოთხოვნის გამო, „ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“ შესწავლის მოტივაცია ძალიან შესუსტებულია.

ზუსტად აღნიშნული სტანდარტის შესაბამისად, შეიქმნა დამხმარე სახელმძღვანელო **„ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების საფუძვლების“** თვითმასწავლებელი, რომელშიც ის წარმოდგენილია ინტერდისციპლინარულ საგნად და წარმოადგენს წიგნის **(დ. ზარნაძე. ზოგადი უნარების ლოგიკის თვითმასწავლებელი. თბილისი, 2013 წ.)** გადამუშავებულ და შევსებულ ვერსიას სტანდარტის შესაბამისად. მასში მოცემულია ლოგიკის საჭირო ცნებები და განმარტებები მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით, რომლითაც ისინი მოცემული არიან სკოლის მათემატიკის სახელმძღვანელოებში. სავარჯიშოები გადმოცემულია ძირითადად ტესტების სახით და მოცემულია 1000-ზე მეტი ტესტის ანალიზი, რომელშიც არა მარტო პასუხებია ნაპოვნი, არამედ უმრავლეს შემთხვევაში ნაჩვენებია, თუ რატომ არ არის პასუხი ტესტის სავარაუდო პასუხებში მოცემული სხვა დებულება. სავარჯიშოების დიდი ნაწილი მიძღვნილია არგუმენტების ჩამოყალიბების, გააზრებისა და იმ სტრატეგიების არჩევისადმი, რომელიც გამოყენებული იქნება მათ ამოსახსნელად. სწორედ ის გახდის შესაძლებელს სწორი აზროვნების წესებისა და კანონების გაგება-გაცნობიერებას, სწორი აზროვნების ჩვევების ჩამოყალიბებას, მიღებული ცოდნის მოვლენათა ანალიზის დროს სხვადასხვა სიტუაციაში პრაქტიკული გამოყენების უნარების გამომუშავებას. **„ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“** ჩვევების გამომუშავების მიზნით, მოხდა **სირთულის იერარქიის მიხედვით მიზანმიმართული დალაგება იმ სავარჯიშოებისა, რომლებიც გაბნეულია ზოგადი უნარების წიგნებში და საგამოცდო ტესტებში**. მეორეს მხრივ, ის სრულ შესაბამისობაშია განათლების სამინისტროს მიერ აზროვნების სწავლებასთან დაკავშირებულ ზემომოხსენებულ დოკუმენტებთან, ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ლოგიკის პროგრამასთან, რომელიც მნიშვნელოვანი ორიენტირი იყო სტანდარტის შექმნისა და საგნის შინაარსის ჩამოყალიბებაში.

სახელმძღვანელოს I ნაწილში მარტივი, მიზანმიმართული მრავალრიცხოვანი სავარჯიშოებით ხდება ისეთი ლოგიკურ-ანალიტიკური მსჯელობების განხილვა და შესწავლა, რომლებიც არსებითად არ ითხოვენ სიმრავლეებზე მოქმედებებს. განხილულია მრავალი სავარჯიშო **თხრობითი**, **კატეგორიული**, **მოდალური** და **ნორმატიული წინადადებების უარყოფაზე, „და“, „ან“, „ან..., ან ...“ და „ან მხოლოდ..., ან ... მხოლოდ...“** კავშირებით შედგენილ რთულ წინადადებებზე და მათ უარყოფებზე. ამ მიზნით ხდება აღნიშნული წინადადებების სქემატური წარმოდგენა წინადადებათა ლოგიკის კანონების საფუძველზე, რომლის გამოყენება არსებითად ამარტივებს დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას. მაქსიმალურად სრულად შეისწავლება პირობითი წინადადებები და მათთან დაკავშირებული შებრუნებული, მოპირდაპირე, შებრუნებულის მოპირდაპირე (კონტრაპოზიცია), საწინააღმდეგო, საპირისპირო წინადადებები. აგრეთვე პირობითი წინადადებისა და მისი უარყოფის ტოლფასი წინადადებები. კერძოდ, განხილულია სავარჯიშოები, რომლებშიც პირობითი წინადადებები მოცემულია სიტყვებით: **„ყველა“**, **„მხოლოდ“**, **„მხოლოდ მაშინ“**, **„საკმარისი პირობა“**, **„აუცილებელი პირობა“**, **„არ არსებობს“**.

მოყვანილია მრავალრიცხოვანი სავარჯიშოები, რომლებშიც გაცემულია პასუხები შემდეგ შეკითხვებზე: „რომელი წინადადებაა აუცილებლად ჭეშმარიტი ან მცდარი?“ „რომელი წინადადება შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი?“ „რომელი წინადადებაა მოცემულის ტოლფასი?“ „რომელ წინადადებაშია გადმოცემული განსხვავებული აზრი?“ „რომელი წინადადება ეწინააღმდეგება მოცემულს?“, „რომელია შეუძლებელი?“ აგრეთვე განხილულია სავარჯიშოები პირობითი წინადადებების ტრანზიტულობის წესზე და რთულ პირობით წინადადებებზე, სადაც როგორც პირობა, ასევე შედეგი რთული წინადადებებია, რომლებიც ზემოთნახსენები კავშირების სხვადასხვა კომბინაციებით არის შედგენილი. განხილულია მარტივი ინდუქციური და ანალიტიკური მსჯელობების შემცველი სავარჯიშოები, რომლებიც დაკავშირებულია ფაქტების აღნერასთან და ახსნასთან. ასეთები რამდენიმეა ეროვნული გამოცდის ყოველ ტესტში: ზოგჯერ არსებული ცოდნა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კითხვებს გაეცეს ცალსახა, მკაცრად დასაბუთებული პასუხები. ასეთ ვითარებაში გამოითქმება ფაქტის სავარაუდო ახსნა. ერთი და იმავე ფაქტის ასახსნელად ზოგჯერ გამოითქმება რამდენიმე ვარაუდი. წარმოდგენილ სავარჯიშოებში სწორედ ასეთი მოცილე ვარაუდებია განხილული და საჭიროა გარკვეული ვარაუდების უარყოფა ან დადასტურება.

სახელმძღვანელოს II ნაწილში მარტივი, მიზანმიმართული, მრავალრიცხოვანი სავარჯიშოებით შეისწავლება ისეთი მსჯელობები, რომლებიც ეყრდნობიან სიმრავლეებზე მარტივ მოქმედებებსა და მათ შორის დამოკიდებულებებს (ეს საკითხები შედის X კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოში). მათ საფუძველზე მოხდება სწავლების პირველ ეტაპზე შესწავლილი ლოგიკურ-ანალიტიკური მსჯელობების გააზრება, ეილერ-ვენის დიაგრამებით მათი გამოსახვა და იმ ანალოგიების გამოკვეთა, რაც არსებობს სიმრავლეებზე მოქმედებებსა და მსჯელობებს შორის. ასევე მოხდება მრავალი საკითხის ახლებური გააზრება, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული გამოცდების ტესტებთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მარტივი კატეგორიული წინადადებების ჭეშმარიტობის, მცდარობის, უარყოფის, უკუქცევის, გადაქცევისა და ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს. ეს დებულებები გამოითქმება აგრეთვე სიმრავლეების დამოკიდებულებების ტერმინებში და ილუსტრირებულია ვენის დიაგრამებით. განიხილება სილოგიზმები, რომელიც შემოტანილია მეცნიერებაში ჯერ კიდევ ძვ. წ. აღრ. IV საუკუნეში უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს (ძვ. წ. აღრ. 384-322) მიერ. სილოგიზმი ეს არის მსჯელობა, რომელშიც ორი დებულებიდან გამომდინარეობს მესამე. ეს ტერმინი განხილულია აგრეთვე სკოლის X კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოში. ამ ტიპის ლოგიკური სავარჯიშოებით გაჯერებულია ზოგადი უნარების ლოგიკისა და ტესტების კრებულები, მაგრამ ასეთი სავარჯიშოების ანალიზისათვის შესაბამისი მსჯელობები არცერთ წიგნში არ არის ჩატარებული. მათი ამოხსნისას მკითხველი სწავლობს წანამძღვრების ფორმულირებას და მათგან დასკვნების გამოსატანად შესაბამისი მსჯელობის ჩატარებას გარკვეული სქემებით, რომელიც გარეკანზეა გამოტანილი. შესწავლის გასამარტივებლად და გრაფიკული ინტერპრეტაციისათვის გამოყენებულია წრიული დიაგრამების მეთოდი. განხილულია აგრეთვე რთული კატეგორიული წინადადებები, რომლებშიც მონაწილეობს სამზე მეტი ტერმინი. მათი ამოხსნისას მკითხველი სწავლობს არამარტო წანამძღვრების ფორმულირებას და მათგან დასკვნების გამოტანას, არამედ ამოხსნის სხვადასხვაგვარი გზების ძიებას, ახდენს მათ შედარებას და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას. ამ ტიპის სავარჯიშოებიც მრავლადაა საგამოცდო ტესტებში და კრებულებში და კვალიფიციური გააზრების გარეშე ძნელია მათი ზუსტი ამოხსნა.

ეროვნული გამოცდების ტესტებში მოცემულია აგრეთვე კატეგორიული წინადადებების შემცველი სავარჯიშოები შეცდომების ტიპებზე, ანალიზზე და მათ გასწორებაზე. წიგნის IX და ბოლო X თავი სწორედ ასეთი საკითხებისადმია მიძღვნილი, მრავალი სავარჯიშოა განხილული და მოყვანილია ზუსტი მსჯელობები, რომლებშიც მნიშვნელოვანი ტექნიკაა განვითარებული ზუსტი და მცდარი დასკვნების ერთმანეთისაგან გასარჩევად (გარეკანზე გამოტანილი ცხრილები სწორედ ამ სავარჯიშოების ანალიზისთვისაა საჭირო).

სამწუხაროდ, **„ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“** საკითხების ცალკე სწავლებას ძალიან მცირე ადგილი უჭირავს დღევანდელი საშუალო სკოლის პროგრამებში მიუხედავად იმისა, რომ მათზეა დაფუძნებული მოსწავლეებისათვის თანამედროვე აზროვნების სწავლება. X კლასის სახელმძღვანელოში **(ნ. ჯაფარიძე, მ. წილოსანი, ნ. წულაია, 2012)** ლოგიკის საკითხებისადმი ნაწილობრივ მიძღვნილია მხოლოდ ერთი თავი, თუმცა ზოგადი უნარების საგამოცდო ტესტებში



ლოგიკის საკითხებს დიდი ადგილი უჭირავს და ტექსტების ანალიზი, მათემატიკური და ანალიტიკური მსჯელობებიც ლოგიკურ-ანალიტიკურ აზროვნებაზეა დაფუძნებული. უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის XI კლასში ლოგიკას სწავლობდნენ ცალკე საგნად **(კ. ბაქრაძე. ლოგიკა. საშუალო სკოლის XI კლასის სახელმძღვანელო, 1952)**. ზოგადი უნარების გამოცდისა და განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პრობლემაზე დაფუძნებული აზროვნების სწავლების მნიშვნელობიდან გამომდინარეობს სკოლებში ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების ცალკე საგნად სწავლების აუცილებლობა.

ჩვენს ახალგაზრდებს უკვე დღეს აუცილებლად სჭირდებათ **„ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“** სწავლება, რაზეც მუდმივად გვიქადაგებს პატრიარქი ილია II (ქადაგებების მიმოხილვა: http://bjlyceum.ge/Analytical_Thinking/Komentareb%20Ambionze%20Analitikaze.doc) „თუ ერი ანალიტიკურ აზროვნებას არ ისწავლის, ის დაიღუპება“ და ამიტომ შეუძლებელია „ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“ საგნის სწავლების გადაწყვეტის ხანგრძლივი დროით გადადება. პატრიარქი აღნიშნავს **„თუ ადამიანი ამას (ანალიტიკურ აზროვნებას) ისწავლის, მას გაუადვილდება ცხოვრება, თავიდან აიცილებს მრავალ განსაცდელს“**. ისევ პატრიარქის სიტყვების თანახმად **„(ლოგიკურ)-ანალიტიკური აზროვნება“ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში პირველიდან მეთორმეტე კლასამდე“**. წინა წლებში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით: კერძოდ, 2014-2015 აკადემიური წლისათვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში განისაზღვრა სადამრიგებლო საათის თემატიკა დაწყებით კლასებში და ის ორიენტირებული გახდა ანალიტიკური აზროვნების სწავლებაზე. მაგრამ ეს ძალიან მცირეა: არ დაგვავიწყდეს, რომ თითოეული გადადებული წელი იმ თაობის დაკარგვაა, რომელსაც არ მოუხდა **„ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“** საგნის სწავლა.

ლოგიკისა და ანალიტიკური აზროვნების საკითხების შესწავლის სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ტესტების ანალიზი დღეს არის ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების შესწავლის ყველაზე მიღებული მეთოდი მსოფლიოში. წიგნი დაეხმარება მკითხველს ლოგიკის კანონების მარტივი, გააზრებული და თანმიმდევრული სავარჯიშოები გონების წრთობის საშუალებად აქციოს ანალიტიკური აზროვნების სწავლისათვის. ასეთი აზროვნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აბიტურიენტების, სტუდენტებისა და მაგისტრატურაში ჩამბარებელთათვის ზოგად უნარებში ტესტების წარმატებით ჩასაბარებლად. შეუძლებელია, რომ ტესტების ამოხსნის უნარები თავისთავად, წრთობის გარეშე ჩამოგვიყალიბდეს იმ დონით, როგორითაც ეს მოეთხოვებათ ტესტირების პროცესში, მითუმეტეს, რომ საგამოცდო ტესტები ყოველწლიურად უფრო ძნელი, მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება.

აღნიშნული საკითხების შესწავლით მოსწავლეებისათვის უკვე ხელმისაწვდომი გახდება მსოფლიოში პოპულარული გონების წრთობის სათამაშო პროგრამებით (Lumosity/Logical Games, NeuroNation) ვარჯიში და მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში და სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების მსურველების მისაღები ტესტები (LSAT - Logical School Admision Tests, LCAT - Logical Colege Admision Tests). ეს კი მიღებულ ცოდნას საერთაშორისო მნიშვნელობისას გახდის.

საპატრიარქოს განათლების ცენტრის თავმჯდომარის მეუფე იოანესთან მრავალჯერადი საუბრების შედეგად მიღებულია გადაწყვეტილება, განხორციელდეს საპატრიარქოს სკოლების მასწავლებელთა გადამზადება კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ბაზაზე **„ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების“** საგნის სწავლებისათვის.

დავით ზარნაძე,
ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა დოქტორი

რედაქტორის P.S. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე საგნის სპეციალისტებს მეცნიერებს, პედაგოგებს ვთხოვთ, გამოგვეხმაურონ, გაგვიზიარონ საკუთარი ხედვა.

ცეროდენები აფხაზეთიდან – თბილისის ზღვაზე

„იმედი“ საიმედო საბავშვო ბაღია

რედაქციაში დაგვირეკა ერთმა ქალბატონმა, რომელიც მადლიერებას გამოთქვამდა საბავშვო ბაღის **„იმედი‘‘**-ს მიმართ და გვთხოვა, ამ საბავშვო დაწესებულებაზე

საგაზეთო წერილი დაგვეწერა. სწორედ, ეს გახლდათ **„იმედ‘‘**-ში ჩვენი სტუმრობის მიზეზი.

საბავშვო ბაგა-ბაღი **„იმედი‘‘** თბილისის ზღვაზე, დევნილთა დასახლებაში **„ტურბაზა თბილისი‘‘**-ს შენობაში მდებარეობს, რომელსაც 4 ოთახი აქვს დათმობილი. მართალია, პატარა ბაღია, ორი ჯგუფია და სულ 60 ბავშვია, მაგრამ აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ პატარებმა თავი მშობლიურ გარემოში იგრძნონ. ბაღი 21 წელიწადია რაც არსებობს და აქ ძირითადად, დევნილთა ოჯახების შვილები არიან. შარშან, 13 პატარას დაულოცეს გზა სკოლისაკენ. ბავშვების კარგად აღზრდისათვის და **„სასკოლო მზაობის პროგრამის‘‘** წარმატებით განხორციელებისათვის ბაღმა, სკოლებიდან სამადლობელო წერილებიც დაიმსახურა.

ბაგა-ბაღის დირექტორია ახალგაზრდა, ენერგიული პიროვნება **რამაზ სახეჩიძე.** იგი, პროფესიით დიპლომატი გახლავთ და დამთავრებული აქვს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. მას ძალიან უყვარს ბავშვები და დიდ მზრუნველობას იჩენს თითოეული მათგანის მიმართ.

ბატონი რამაზი უკვე ცხრა წელიწადია წარმატებით უძღვება ,,იმედს‘‘ და თავდაუზოგავად იღვწის, რათა ბაღი იყოს ერთ-ერთი სანიმუშო დაწესებულება. მისი მოსვლის დღიდან ბაღში ბევრი რამ გაკეთდა, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, სველი წერტილები, სამზარეულო და ოთახები. ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით შეიძინეს თანამედროვე ინვენტარი, სათამაშოები და სახელმძღვანელოები.

დირექტორი კმაყოფილებას გამოთქვამს თავისი თანამშრომლების საქმიანობით და მადლობას უხდის თითოეულ მათგანს. თავიანთ მოვალეობას შესანიშნავად ასრულებენ: დირექტორის მოადგილე **ნინო ტორჩინავა**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **თეა მაჩხიძე**, საქმისმწარმოებელი **მზია მაისურაძე**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორი **ცირა სვანიძე**.

მშობლები კმაყოფილებას გამოთქვამენ აღმზრდელების მიმართ, რომლებიც სითბოს და სიყვარულს არ აკლებენ პატარებს. ესენი გახლავთ: **ნაილი ცხვარაძე, კლარა ცაავა** და **ნატო ტაბატაძე**. მათ გვერდში უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები: **ქეთინო ჩალიგავა** და **ლიანა კატკალოვა**.

მოგეხსენებათ, ბაღში ჰიგიენას და წესრიგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ამ მხრივ, **„იმედ‘‘**-ში მართლაც, სანიმუშო მდგომარეობაა. ცუგრუმელების სისუფთავეზე ზრუნავს **ნანა ოთხოზორია**. რაც შეეხება კვებას, როგორც სხვა ბაგა-ბაღებში, აქაც უმაღლეს დონეზეა. ბავშვებს გემრიელ კერძებს უმზადებს მზარეული **ნანა მუშკუდიანი**. ცეროდენებს ცხოვრებას უხალისებს მუსიკის პედაგოგი **თამარ მიქელაძე**.

საბავშვო დაწესებულებაში შემოქმედებითი უნარების განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. ბაღში ხშირად იმართება საინტერესო ღონისძიებები, აქტივობები, ღია გაკვეთილები და სეზონური ზეიმები. შეიძლება ითქვას, რომ **„იმედი‘‘** დღითიდღე ვითარდება, ინერგება სიახლეები და წარმატებით მიიწევს წინ, რაც აქაური მესვეურების თავდაუზოგავი შრომის შედეგია.

კარს მომდგარ საიმედო შობა-ახალ წელს გილოცავთ, იმედიანო **„იმედელებო!“**

მზია გოგოძე

ახალი წიგნის წარდგენა

ვაზის ფესვების ჟრუანტელია

25 ნოემბერს ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თაოსნობით ონის კულტურის სახლში გაიმართა ამავე საკრებულოს წევრის, პოეტ **თემურ ჭუმბაშვილის** წიგნის **„ვაზის ფესვების ჟრუანტელია“** წარდგენა და პოეტთან შეხვედრა.

საღამოს უძღვებოდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურისა და განათლების კომისიის თავმჯდომარე **სოფო გუგეშაშვილი**. სიტყვით გამოვიდნენ, საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრია ჯაფარიძე**, საკრებულოს წევრი: **ვასილ მაისურაძე,** ვეტერანი **გოგი ლობჟანიძე,** კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვნელი **მალხაზ ჯაფარიძე**, გამგეობის კულტურისა და განათლების სამსახურის უფროსი **ირმა მაქარაშვილი**, მსახიობი **ლევან შერეზადიშვილი**, წიგნის გამომცემელი **ზურაბ ქობალია**. ისინი პოეტს მიესალმნენ, წიგნის გამოსვლა მიულოცეს და წარმატებები უსურვეს მომავალ შემოქმედებით საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

საღამოს ამშვენებდა ონის კულტურის სახლის მომღერალ ბავშვთა გუნდი, რომლებმაც რამდენიმე სიმღერა შეუსრულეს დამსწრე საზოგადოებას, ასევე კულტურის სახლის მხატვრული კითხვის წრის ბავშვებმა წაიკითხეს პოეტის რამდენიმე ლექსი.

„ჩემი სიჭაბუკის ტევრში გაფანტულ ლექსების ნახირს თავი მოვუყარე და შენი ლამაზი სულის მინდვრისაკენ მოვდენი, მკითხველო, მეც იქიდან ვბრუნდები.“ – წერს შესავალში ავტორი და ეს ნამდვილად ასეა.

საღამოს ფონად გასდევდა თვით პოეტ **თემურ ჭუმბაშვილის** მიერ წაკითხული ლექსები.

თემურ ჭუმბაშვილი დაიბადა და გაიზარდა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სორში. ახალგაზრდობაში რამდენიმე წელი თვით უძღვებოდა ონის კულტურის სახლის ლიტერატურულ წრეს, იყო ონის რაიონის სოფელ **გადამშის** სკოლის დირექტორი. შემდეგ დედაქალაქის სკოლებში ასწავლიდა ფიზიკა-მათემატიკას, იყო თბილისის 87-ე საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. ამჟამად იგი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია.

ზურაბ შამადელი

გასწორება

ჩვენი გაზეთის 2016 წლის 23 ნოემბრის ნომერში, სადაც საუბარია სახელგანთქმულ პირველ ლოგოპედიურ ბაგა-ბაღზე, გაიპარა შეცდომები.

უნდა იყოს: „ლოგოპედიური ბაგა-ბაღი 1976 წელს დაარსდა და მისი პირველი დირექტორი გახლდათ ქალბატონი **ლალი ზაქარეიშვილი**. თავდაპირველად დაწესებულება იყო ინტერნატის ტიპის სადღეღამისო ბაგა-ბაღი, სადაც საქართველოს ყველა კუთხიდან მეტყველების დეფექტის მქონე პატარები სწავლობდნენ. აქ ჩაეყარა საფუძველი ქვეყანაში ლოგოპედიური დარგის განვითარებას. წლების შემდეგ კი დიდხანს ბაგა-ბაღს ხელმძღვანელობდა **დამსახურებული პედაგოგი ზაირა კურტანიძე**.

ამჟამად ბაგა-ბაღი ჩვეულებრივი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა“.

სწორია: **ნინო ოჩხიკიძე, იათამზე მესხი, მაია ოყროშიძე.**

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 17 (4538)
7 დეკემბერი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009